თავი II

2017 წლის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

2017 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 5.0 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში - 5.3%, მეორე კვარტალში - 4.9%, მესამე კვარტალში - 4.4%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 5.4%. 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 38 042.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც 11.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 10 231 ლარი (4 079 აშშ დოლარი) შეადგინა.

2017 წლის მონაცემებით ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (11.2%), სასტუმროები და რესტორნები (11.2%), საფინანსო საქმიანობა (9.2%), ტრანსპორტი (7.2%), ვაჭრობა (6.6%), ოპერაციები უძრავი ქონებით (6.3%), სამთომომპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა (5.2%).

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2017 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი კვლავ კერძო სექტორს ეჭირა. 2017 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 19.4 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 19.6 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 39.3 ათასი ადამიანით (აღნიშნული მონაცემები მოცემულია საქსტატის, ბიზნეს სექტორის 2016-2017 წლების კვარტალური კვლევების მიხედვით).

ფასები

2017 წელს ინფლაციის დონემ 6.7 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდისათვის, საბაზო ინფლაცია 4.7 პროცენტის დონეზეა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 7.3 პროცენტით, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში; ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 14.9 პროცენტით, რამაც წლიურ ინფლაციაში 1.94 პროცენტული პუნქტი შეიტანა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 17.5 პროცენტით, რაც 1.12 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში; ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 8.1 პროცენტით, რაც 0.68 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში.

2017 წელს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 4 პროცენტს შეადგენდა.

გაცვლითი კურსი

2017 წელს ლარი გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.1 პროცენტით გამყარდა და 2.59 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გაუფასურდა 1.1 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2017 წლის დეკემბერში 2016 წლის დეკემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 14.8 პროცენტით გაიზარდა და 18 416.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 29.4 პროცენტით გაიზარდა და 8 418.1 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2017 წელს მთლიანი დეპოზიტები 15.0 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 38.7 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 4.8 პროცენტით გაიზარდა.

2017 წელს, წინა წელთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 6.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 63.6 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში 5.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 59.2 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2017 წელს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 709.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13.8 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2 728.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (29.1%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 7 981.3 მლნ. აშშ დოლარს (9.4%-ით მეტი).

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2017 წლის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 14.8 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს რუსეთი 11.1%, ჩინეთი 8.8% და აზერბაიჯანი 8.2%-ული წილებით.

ექსპორტში 14.5 პროცენტით პირველ ადგილზე რუსეთია, შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი 10.0%, თურქეთი 7.9%, სომხეთი 7.7% და ჩინეთი 7.6%.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.2 პროცენტით, შემდეგ მოდიან რუსეთი 9.9%, ჩინეთი 9.2%, აზერბაიჯანი 7.6% და უკრაინა 5.6%.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 15.4 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 11.3%, მსუბუქი ავტომობილები 8.6%, ყურძნის ნატურალური ღვინოები 6.3%, სამკურნალო საშუალებები 5.2% და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.7 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდის: მსუბუქი ავტომობილები 5.9%, ნავთობის აირები 4.4%, სამკურნალო საშუალებები 4.3%, სპილენძის მადნები და კონცეტრატები 4.2% და ა.შ.

2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 844.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 646.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (13.0% მეტი), ხოლო იმპორტი 2 197.7 მლნ. აშშ დოლარი (0.8% ნაკლები).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 3 541.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წელთან შედარებით 30.2% მეტი). აქედან ექსპორტი 1 180.7 მლნ. აშშ დოლარი (60.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2 361.1 მლნ. აშშ დოლარი (19.2 პროცენტით მეტი).

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფოს ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2017 წელს მშპ-ს 44.6 პროცენტის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 35.3 პროცენტი, ხოლო საშინაო ვალი 9.3 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი დაბალია ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრულ სახლემწიფო ვალის დონეზე (60%).

ფულადი გზავნილები

2017 წელს, წმინდა ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით 22.3 პროცენტით გაიზარდა (213.6 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია რუსეთიდან 19.1 პროცენტით, ისრაელიდან - 98.3 პროცენტით, იტალიიდან - 18.1 პროცენტით, საბერძნეთიდან - 16.6 პროცენტით, თურქეთიდან - 19.4 პროცენტით.

ტურიზმი

2017 წელს, საქართველოს 7 555 ათასი ვიზიტორი ეწვია (2016 წლის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 6 361 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 18.8 პროცენტით აღემატება.

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 753 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 27.1 პროცენტით (587 მლნ აშშ დოლარით) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2017 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 16.2 პროცენტით გაიზარდა და 1 861.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს აზერბაიჯანი (482 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (279 მლნ აშშ დოლარი) წარმოადგენს. ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიციები ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, საფინანსო და მშენებლობის სექტორებში განხორციელდა.

ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 865 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 10 921 173.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 740 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 9 778 948.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 385 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 353 797.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 91.9%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 740 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 788 428.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.5%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 229 433.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (185 000.0 ათასი ლარი) 124.0%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 109 710.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (70 000.0 ათასი ლარი) 156.7%-ია.

2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**10,865,000.0**	**10,921,173.9**	**56,173.9**	**100.5**
გადასახადები	**9,740,000.0**	**9,778,948.3**	**38,948.3**	**100.4**
საშემოსავლო გადასახადი	2,920,000.0	2,918,865.4	-1,134.6	100.0
მოგების გადასახადი	740,000.0	756,555.5	16,555.5	102.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,020,000.0	4,122,612.8	102,612.8	102.6
აქციზი	1,435,000.0	1,450,921.9	15,921.9	101.1
იმპორტის გადასახადი	65,000.0	71,618.9	6,618.9	110.2
ქონების გადასახადი	410,000.0	394,746.2	-15,253.8	96.3
სხვა გადასახადი	150,000.0	63,627.6	-86,372.4	42.4
გრანტები	**385 000.0**	**353,797.6**	**-31,202.4**	**91.9**
სხვა შემოსავლები	**740,000.0**	**788,428.0**	**48,428.0**	**106.5**

ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 696 160.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა განისაზღვრა 9 750 327.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.6%.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**9,696,160.0**	**9,750,327.0**	**54,167.0**	**100.6**
გადასახადები	8,980,000.0	8,991,307.5	11,307.5	100.1
გრანტები	331,160.0	350,602.3	19,442.3	105.9
სხვა შემოსავლები	385,000.0	408,417.1	23,417.1	106.1

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 980 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 991 307.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 525 970.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 570 000.0 ათასი ლარი) 98.3%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 756 555.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (740 000.0 ათასი ლარი) 102.2%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 4 122 612.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 020 000.0 ათასი ლარი) 102.6%-ია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 1 450 921.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 435 000.0 ათასი ლარი) 101.1%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 71 618.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65 000.0 ათასი ლარი) 110.2%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 63 627.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (150 000.0 ათასი ლარი) 42.4%-ია.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**8,980,000.0**	**8,991,307.5**	**11,307.5**	**100.1**
საშემოსავლო გადასახადი	2,570,000.0	2,525,970.7	-44,029.3	98.3
მოგების გადასახადი	740,000.0	756,555.5	16,555.5	102.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,020,000.0	4,122,612.8	102,612.8	102.6
აქციზი	1,435,000.0	1,450,921.9	15,921.9	101.1
იმპორტის გადასახადი	65,000.0	71,618.9	6,618.9	110.2
სხვა გადასახადი	150,000.0	63,627.6	-86,372.4	42.4

გრანტების[1] საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 331 160.0 ათასი ლარით (საპროგნოზო მაჩვენებელი არ მოიცავს ე.წ რეესტრის გრანტებს), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 350 602.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.9%.

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	**350,602.3**
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	**72,157.1**
საინვესტიციო გრანტები	**148,690.1**
SDC	1,534.9
IFAD	200.0
GEF	1,601.1
EU	17,682.7
EBRD	5,768.7
E5P	13,004.5
SIDA	3,919.1
ORIO	439.3
MCC	87,061.9
KfW	16,383.0
CNF	1,094.9
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	**69,038.5**
მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	**60,716.1**
ხაზინის ერთიან ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხა (აღნიშნული თანხა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნის	**0.6**

[1] დონორების მიერ გამოყოფილი გრანტების ნაწილის ასახვა მოხდა 2018 წლის იანვარში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის
შემთხვევაში დაკორექტირდება და აისახება შესაბამის ანგარიშზე)	

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 385 000.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 408 417.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.1%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 141 778.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (134 000.0 ათასი ლარი) 105.8%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 57 811.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (52 000.0 ათასი ლარი) 111.2%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 66 356.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (66 400.0 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 17 611.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 600.0 ათასი ლარი) 112.9%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 99 671.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (91 000.0 ათასი ლარი) 109.5%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 95 882.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (87 000.0 ათასი ლარი) 110.2%-ია. მათ შორის:
  - სალიცენზიო მოსაკრებელი - 12 577.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 500.0 ათასი ლარი) 100.6%-ია;
  - სანებართვო მოსაკრებელი - 60 983.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (53 000.0 ათასი ლარი) 115.1%-ია.
  - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 757.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 700.0 ათასი ლარი) 103.4%-ია;
  - სახელმწიფო ბაჟი - 17 353.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 000.0 ათასი ლარი) 102.1%-ია;
  - საკონსულო მოსაკრებელი - 1 616.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 500.0 ათასი ლარი) 107.8%-ია;
  - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 1 043.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (900.0 ათასი ლარი) 116.0%-ია.
  - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 550.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (400.0 ათასი ლარი) 137.5%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 3 789.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 000.0 ათასი ლარი) 94.7%-ია. მათ შორის:
  - საქონლის რეალიზაციიდან - 61.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100.0 ათასი ლარი) 61.6%-ია;
  - მომსახურების გაწევიდან - 3 710.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 900.0 ათასი ლარი) 95.1%-ია;
  - სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან - 17.0 ათასი ლარი.
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 55 258.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (54 000.0 ათასი ლარი) 102.3%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 19 588.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 000.0 ათასი ლარი) 130.6%-ია.

- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 92 120.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (91 000.0 ათასი ლარი) 101.2%-ია.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**385,000.0**	**408,417.1**	**23,417.1**	**106.1**
შემოსავლები საკუთრებიდან	**134,000.0**	**141,778.8**	**7,778.8**	**105.8**
პროცენტები	52,000.0	57,811.2	5,811.2	111.2
დივიდენდები	66,400.0	66,356.1	-43.9	99.9
რენტა	15,600.0	17,611.5	2,011.5	112.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**91,000.0**	**99,671.9**	**8,671.9**	**109.5**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	**87,000.0**	**95,882.8**	**8,882.8**	**110.2**
სალიცენზიო მოსარებლები	12,500.0	12,577.2	77.2	100.6
სანებართვო მოსარებლები	53,000.0	60,983.6	7,983.6	115.1
სარეგისტრაციო მასაკრებლები	1,700.0	1,757.9	57.9	103.4
სახელმწიფო ბაჟი	17,000.0	17,353.7	353.7	102.1
საკონსულო მოსაკრებელი	1,500.0	1,616.7	116.7	107.8
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	900.0	1,043.7	143.7	116.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	400.0	550.0	150.0	137.5
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**4,000.0**	**3,789.1**	**-210.9**	**94.7**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	100.0	61.6	-38.4	61.6
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	3,900.0	3,710.6	-189.4	95.1
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		17.0	17.0	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**54,000.0**	**55,258.2**	**1,258.2**	**102.3**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	**15,000.0**	**19,588.2**	**4,588.2**	**130.6**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**91,000.0**	**92,120.0**	**1,120.0**	**101.2**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 97 606.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (90 000.0 ათასი ლარი) 108.5%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 119 126.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (85 000.0 ათასი ლარი) 140.1%-ია.